

სამაგისტრო პროექტი: ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში დაბალი
მონაწილეობის/ჩართულობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა

მარიამ წიკლაური
სოფიკო გაბრიჩიძე
თამარ ჯაფარიძე

ჯგუფი #11

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით.

ხელმოწერა: მარიამ წიკლაური

სოფიკო გაბრიჩიძე

თამარ ჯაფარიძე

თარიღი: 2019 წ.

აბსტრაქტი

შესავალი: ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში. სიცოცხლის ხარისხიანი წლების შესანარჩუნებლად და ფატალური შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება, ადრეული დიაგნოსტიკისა და სამკურნალო პროგრამების საფუძველზე. პრევენციული ღონისძიებების ერთ-ერთ წარმატებულ მექანიზმად აღიარებულია სკრინინგი, რომელიც ხელს უწყობს კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენას.

საკვლევი თემა: კვლევის მიზანია ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში ქალების დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა მათი ქცევის საფუძველზე.

კვლევის მეთოლოგია: თვისობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტთა გამოკითხვა, კერძოდ გამოიკითხა 40-70 წლამდე ქალბატონები, ქალაქ თბილისის ერთ-ერთი წამყვან ჰოსპიტალში.

შედეგები: ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში ქალების დაბალი ჩართულობა დაკავშირებულია როგორც დაავადების მიმართ არასწორი განწყობის, ისე ზოდად პრევენციული ღონისძიებების მიმართ ნაკლები მზაობითა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის მიმართ უნდობლობით. ასევე, გამოკვეთილია ცნობადობის დაბალი დონე ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამის ეფექტიანობაზე.

რეკომენდაციები: აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, აღნიშნული სკრინინგ პროგრამაზე ცნობიერების ამაღლება, დაავადების აღმოჩენის შემდგომი ეტაპის მხარდაჭერა.

სამიუბო სიტყვები: ძუძუს კიბო, ძუძუს კიბოს სკრინინგი, დაბალი ჩართულობა, სკრინგ პროგრამა

Abstract

Introduction: The morbidity and mortality caused by oncological diseases are still one of the most important challenges in the world. According to the World Health Organization (WHO) estimates, the global cargo of cancer will maintain a growth trend by 2030. In order to maintain the quality of life and avoid fatal consequences, it is necessary to be taken prevention measures based on early diagnosis and treatment programs. One of the successful mechanism of prevention measures is acknowledged screening, which promotes be identified cancer on the early stage, makes treatment less expensive and the results are more successful and effective. According to the International Agency of Cancer Studies (IARC) and European Guidelines for researches, the balance between benefits and harm is best expressed in women between 59-69 years.

Research topic: The aim of the Master's Thesis is to present clearly the causes of women's low involvement in the breast cancer screening program based on their behavior.

Research Methodology: Within the qualitative research the respondents' questioning was conducted, in particular women between 40-70 years were interviewed, in one of the leading hospitals in Tbilisi.

Results: The results show that the problem is related to the improper attitude towards the disease as well as lesser readiness to preventive measures and distrust towards the family doctor's institute. There is also a low level of awareness on the efficiency of this program.

Recommendations: We have provided recommendations in different directions, including healthy life propagation, awareness raising on this screening program, supporting of development of the next stage of disease detection and so on.

Search Terms: Breast Cancer, Breast Cancer Screening, Low Involvement, Screening Program.

მადლობა

გსურს მადლობა გადავუხადოთ ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას მუდმივი მხარდაჭერისთვის, ნაშრომის კომენტარებისა და ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების ამომწურავად მოწოდებისა და ინფორმირებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდით იმ პირებს, რომლებმაც დაგვითმეს დრო და მონაწილეობა მიიღეს ჩვენს კვლევაში, იმ კლინიკას, რომელმაც გაგვიწია შესაბამისი დახმარება.